



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება №8/18

2017 წლის 30 მარტი

ქალაქი ფოთი

“თვითმმართველი ქალაქის-ფოთის (თვითმმართველი ერთეულის) მიერ დაფუძნებული და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის №27/141 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე:**

#### **მუხლი 1.**

შეტანილ იქნას ცვლილება “თვითმმართველი ქალაქის-ფოთის (თვითმმართველი ერთეულის) მიერ დაფუძნებული და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის №27/141 განკარგულებაში, კერძოდ:

ა) განკარგულების დანართი ერთიდან ამოღებულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება და განკარგულებას დაემატოს დანართი 6 თანდართული რედაქციით.

ბ) განკარგულების დანართი ორიდან ამოღებულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება და განკარგულებას დაემატოს დანართი 7 თანდართული რედაქციით.

#### **მუხლი 2.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა №3).

#### **მუხლი 3.**

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 30 მარტიდან.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი (ლარებში)
1.	დირექტორი	1200
2	ბუღალტერი	590
3	მთავარი სპეციალისტი	550
4	წამყვანი სპეციალისტი	450
5	უფროსი სპეციალისტი	390
6	სპეციალისტი	310

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია

დანართი 7

თვითმმართველი ქალაქის-ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში  
დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი

#	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
1	2	3
<b>დირექცია</b>		
1	დირექტორი	1250
2	მოადგილე-სასწავლო დარგში	700
3	მოადგილე-სამეურნეო დარგში	700
4	ბუღალტერი	700
5	მთავარი სპეციალისტი	560
6	მთავარი სპეციალისტი-ლოგოპეტი	560
7	უფროსი სპეციალისტი-ლოგოპეტი	420
8	უფროსი სპეციალისტი - ფსიქოლოგი	420
9	სპეციალისტი-ლოგოპეტი	315
<b>ადმინისტრაცია</b>		
1	გამგე	530
<b>აღმზრდელი</b>		
1	აღმზრდელი I ცვლის	420
2	დამხმარე აღმზრდელი I ცვლის	400
3	აღმზრდელი II ცვლის	260
4	მუსიკის მასწავლებელი, რომელიც ემსახურება 3 ჯგუფს	250
5	მუსიკის მასწავლებელი, რომელიც ემსახურება 4-5 ჯგუფს	310
6	მუსიკის მასწავლებელი, რომელიც ემსახურება 6-7 ჯგუფს	350
<b>ტექნიკური პერსონალი</b>		
1	ექთანი	285
2	მზარეული	360
3	მზარეულის თანაშემწე	240
4	მწე	285
5	აღმზრდელის თანაშემწე	340
6	დამლაგებელი	165

7	დამლაგებელი	200
8	დარაჯი	140

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია